პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 2 ივნისი, 1943 წ. № 119 (6744). ფასი 20 კაპ.

მივცეთ ჩვენს ქვეყანას, ფრონტს მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირი

დიდი სამამულო ომის არსებული ვითარება სერიოზულ პასუხისმგებლობას აკისრებს საბჭოთა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შეუფერხებლად უზრუნველვყოთ სათბობით საწარმოები, დაწესებულებები, ტრანსპორტი, მთელი სამხედრო მრეწველობა. ეს კი მოითხოვს მაღაროებისა და შახტების სამმარი ტემპებით მუშაობას, რიტმიულობასა და ორგანიზებულობას, მთელი მუშაობის საათის მექანიზმივით აწყობას.

დიდი სტალინის საპირველმაისო ბრძანებას ტყვარჩელის მეშახტეებმა ქვანახშირის ამოღების გადიდებით უპასუხეს. მათ აპრილის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და ახალი ძალით გააჩაღეს მუშაობა მაისის დავალების შესასრულებლად. ტყვარჩელელმა მეშახტეებმა ფრონტისადმი დახმარების კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით ტყიბულელ მაღაროელებს შიმართეს მოწოდებით—ჩაებან მათთან სოცშეჯიბრებაში—და ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების პასუხად კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს.

ტყვარჩელელმა მეშახტეებმა გადასწყვიტეს 1943 წლისათვის მთლიანად შეასრულონ ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმა და გეგმის გადამეტებით წითელი არმიის მთავარსარდლობის განსაკუთრებული ფონდისათვის ამოიღონ მნიშვნელოვანი რაოდენობის ქვანახშირი, გმირი სტალინგრადელებისათვის გაგზავნონ სამი ეშელონი ქვანახშირი, ვადამდე—20 დეკემბრისათვის შეასრულონ მოსამზადებელ სამუშაოთა წლიური დავალება და სხვ.

ამ საბრძოლო ვალდებულებათა გაწევდებისათვის იბრძვიან ახლა ტყვარჩელელი მეშახტეები. მათ ჰყავთ ომიანობის დროის სტახანოველები, რომლებიც ფრონტული თავდადგმით მუშაობენ და გამომუშავების ნორმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ. ასეთები არიან: მბურლავი ორდენოსანი პ. ზვერევიჩი, ამწეველი ი. სემენიხინი, ა. ბესარაბი, მებიგე ა. ავიძა და ბევრი სხვ.

მაგრამ შეიძლება ითქვას თუ არა, რომ ტყვარჩელის შახტაში ყველაფერი რიგზეა? რა თქმა უნდა, არა. აქ ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის განმტკიცებული შრომის დისციპლინა, სრული დატვირთვით ვერ იყენებენ მექანიზმებს. შემჩნეული იყო, რომ შახტიდან რამდენიმე მუშამ ცვლის სამუშაოს დამთავრებამდე ნახევარი—ერთი საათით ადრე მიატოვა სამუშაო ადგილი. უბნის უფროსები, განსაკუთრებით ღამის ცვლებში, იშვიათად იმყოფებოდნენ უბნებში, ადგილი ჰქონდა მთელ რიგ სხვა ნაკლოვანებებს, უპასუხისმგებლობას და სხვ. ყველა ეს ფაქტი გამოაშკარავდა და მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ამ დღეებში პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე.

ქვანახშირის ამოღების მხრივ აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში. ყველა უბანი, ცვლა და ბრიგადა როდი მუშაობს აქ შეწყობილად, გრაფიკის მიხედვით, ყველა როდი ასრულებს ქვანახშირის ამოღების დავალებას.

სტალინის სახელობის მაღაროს პირველმა საექსპლოატაციო უბანმა ინჟინერ მუმლაძის ხელმძღვანელობით გეგმა ოთხი დღით ადრე 20 ტონა ქვანახშირის ამოღების გადამეტებით შეასრულა. იმავე პირველ უბანში შრომის ნაყოფიერების ზრდის საუკეთესო მაგალითს იძლევა სამთო ოსტატ ი. ცირეკიძის ცვლა, რომელმაც თვიური გეგმა 28 მაისისათვის 129 პროცენტით შეასრულა. დასავლეთ შახტის მედალოსანი მნგრეველი შ. ფურცხვანიძე, ორდენოსანი მებიგე ი. ილიუშინი და სხვ. ყოველდღიურ ნორმებს 200-375 პროცენტით ასრულებენ.

მაგრამ სტალინის სახელობის მაღაროში, მიუხედავად ერთნაირი პირობებისა, ქვანახშირის ამოღების გეგმას ვერ ასრულებს ი. ცირეკიძის შემცვლელი ცვლა ნ. მაცევის ხელმძღვანელობით. ჩამორჩენის მიზეზია მომუშავეთა არასწორი განაწილება, შრომის დაბალი დისციპლინა, სამუშაო იარაღების არაწესიერი გამოყენება. გეგმებს ვერც მეორე (უფროსი ს. გაბრიაძე) და მესამე (უფროსი პ. ნანიკაშვილი) უბნები ასრულებენ. უკეთესი მდგომარეობა არც ლენინის სახელობის მაღაროშია. ამ მაღაროს მერვე უბანში დაბალია შრომის დისციპლინა, ადგილი აქვს სამუშაო დროის გაცდენას. მაგალითად, ამ უბნის სოფრომაძის ცვლის ზოგიერთმა მუშამ 25 მაისს 20 წუთით ადრე დასტოვა სამუშაო.

წარმოების მეთაურები გეგმების შეუსრულებლობას მხოლოდ „ტექნიკური მიზეზებით“ ხსნიან. სინამდვილეში კი ისინი სათანადოდ ვერ იყენებენ ყველა იმ შესაძლებლობას, რაც მათ გააჩნიათ, სრული დატვირთვით არ ამუშავებენ მექანიზმებს, მოუწესრიგებელი აქვთ შრომა, წინასწარ არ იღებენ საჭირო ზომებს მოსამზადებელ სამუშაოთა დროზე დაწყებისა და ვადაზე დამთავრებისათვის.

ტყიბულის, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტების და მაღაროების სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების ამოცანაა ბოლშევიკურად მოჰკიდონ ხელი მაღაროებსა და შახტებში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას, მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები, სრული დატვირთვით ამუშაონ მექანიზმები, დაჩქარონ მოსამზადებელ სამუშაოთა წარმოება, დანერგონ შრომის დისციპლინა და ორგანიზებულობა, შესაფერისად დააკომპლექტონ მნგრეველ მუშათა ჯგუფები, იზრუნონ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამოცანა ის არის, რომ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით ყველა მაღარო, უბანი, ცვლა და ბრიგადა, ყველა მუშა მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს გეგმას.

ტყიბულისა და ტყვარჩელის მაღაროელნო, სამშობლო, ფრონტი მოითხოვს თქვენგან ქვანახშირის ამოღების გადიდებას, რათა ამით მზარდი დახმარება გავუწიოთ გმირ წითელ არმიას ვერაგი მტრის—პირსისხლიანი ფაშიზმის დაჩქარებით განადგურებაში!

ჰენრი ვილსონს, ჩელმსფორდის ეპისკოპოსს, ბრიგანეთ-საბჭოთა კავშირის ერთიანობის ნაციონალური საბჭოს პრეზიდენტს

ლონდონი.

ვმადლობ ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის ერთიანობის ნაციონალურ საბჭოს სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის მოკავშირეობის ხელშეკრულების წლისთავის გამო მისალმებისათვის და ვუსურვებ მას წარმატებას მოღვაწეობაში დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის განსამტკიცებლად.

ი. სტალინი

პასილ ივანეს-ძე კუზნეცოვისათვის გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

მიენიჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული გენერალ – პოლკოვნიკის სამხედრო წოდება ვასილ ივანეს-ძე **კუზნეცოვს.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ი. ჩადაევი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 25 მაისი.

ჩვენი ავიაციის თავდასხმა პოლოცკის, ბრიანსკის სარკინიგზო კვანძებსა და ბეჟიცის სადგურზე

31 მაისს ღამით ჩვენი შორმოქმედი ავიაცია დიდი ძალებით დაესხა თავს პოლოცკის, ბრიანსკის სარკინიგზო კვანძებსა და ბეჟიცის სადგურს. ბომბარდირების შედეგად ბრიანსკის სარკინიგზო კვანძზე და ბეჟიცის სადგურში გაჩნდა ხანძრები და მოხდა ძლიერი აფეთქებანი.

განსაკუთრებით ეფექტიანი დაბომბვა განიცადეს მტრის სარკინიგზო ეშელონებმა პოლოცკში და საომარი მასალის, საწვავის, ტექნიკისა და ამუნიციის დიდმა საწყობებმა, რომლებიც ქალაქის ჩრდილოეთით მდებარეობენ. მეთვალყურეობის მიერ ბევრგან აღნიშნულია ხანძარი. ხანძრების დროს ხდებოდა დიდი ძალის აფეთქებანი, რომლებმაც მტრის საწყობების განლაგების მთელი რაიონი მოიცვეს.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი, გარდა ერთისა, თავის ბაზაში დაბრუნდა.

უკანასკნელი ცნობები

პოლონელი პროფკავშირული მოღვაწეები ა. შ. შგპგებში მოითხოვენ პოლონეთის ახალი მთავრობის შედგენას

ნიუ-იორკი, 28 მაისი (საკადრისი). როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ გადმოგვცემს, პროფკავშირების მოღვაწეთა და პოლონური წარმოშობის სხვა ამერიკელ მოქალაქეთა ჯგუფმა ნიუ-არკში (ნიუ-ჯერსის შტატი) გამოაქვეყნა განცხადება და მოითხოვა შესდგეს პოლონეთის ახალი მთავრობა, რომელსაც ჰქონდეს სახალხო ომის ნამდვილი ამოცანებისა და გაერთიანებულ ერთა საერთო საქმეთათვის თავისი პასუხისმგებლობის გაგება. ამ ჯგუფის წარმომადგენლები იწონებენ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას პოლონეთის მთავრობასთან ურთიერთობის შწყვეტის შესახებ და აცხადებენ, რომ პოლონელი ხალხის უმრავლესობა ღერძის საელჩოწოფთა უსიტყვო კაპიტულაციას მოითხოვს.

განცხადების ხელმომწერთა რიცხვში არიან საქმედრო მრეწველობის სხვადასხვა პროფკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც საწარმოო პროფკავშირთა კონგრესს ემხრობიან, აგრეთვე სხვადასხვა პოლონური ორგანიზაციების ადგილობრივი წარმომადგენლები. განცხადების ბევრი ხელმომწერი ცდილობს ნიუ-ჯერსის შტატში მოაწყოს პოლონეთ-ამერიკის მუშათა კომიტეტი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

სათოხნ კულტურათა ნათესების გამარგვლისა და მწკრივთაშორის დამუშავების შესახებ

მაღალი მოსავლის მისაღებად ნათესების გამარგვლისა და მწკრივთაშორის დამუშავების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარების განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის გამო, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი რაიონული საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების, სამიწათმოქმედო ორგანოთა მუშაკების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისა და კოლმეურნეობათა გამგეობების წინაშე აყენებენ ამოცანას — უზრუნველყონ მიმდინარე წელს ყველა სათოხნი კულტურის ნათესების გამარგვლა-დამუშავების სამუშაოთა გულდასმით და დროულად ჩატარება და ამით მიაღწიონ მაღალი მოსავლის მიღებას.

ამ მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა **დადგინეს:**

შაქრის ჭარხლის დარგში

1. დაევალოს ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, ბორჩალოს, ბოლნისის რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტსა და საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტს, აღნიშნული რაიონების სამიწათმოქმედო განყოფილებებს, მტს-ების დირექტორებსა და პოლიტგანყოფილებათა უფროსებს:

ა) ხუთი დღის ვადაში გამოავლინონ ფართობები, სადაც შაქრის ჭარხალი ამოსული არ არის, და დაუყოვნებლივ მოაწყონ ხელმეორედ თესვა შაქრის ჭარხლის დამბალი თესლით; ეს სამუშაო დამთავრონ არა უგვიანეს 1943 წლის 10 ივნისისა; ხელმეორედ დათესვის შემდეგ ჩაატარონ კვლაში რწყვა;

ბ) შაქრის ჭარხლის ნათესის მთელ ფართობზე უზრუნველჰყონ პირველი გათხნისა ჩატარება კულტივატორებით ან ხელის თოხებით 5-6 დღის განმავლობაში აღმონაცენის გამოჩენის შემდეგ;

გ) ერთი წყვილი ნამდვილი ფოთლის გამოჩენისას მოაწყონ გამოხშირვა და დამთავრონ იგი არა უგვიანეს 18 დღისა აღმონაცენის გამოჩენის შემდეგ;

დ) გამოავლინონ მეჩხერ აღმონაცენიანი ნაკვეთები და ჩაატარონ მეჩხერი ადგილების შევსება ნათესების გამოხშირვისას ამოღებულ მცენარეთა ჩარგვის ან დამბალი თესლის ჩათესვის საშუალებით იმ ვარაუდით, რომ ერთ ჰექტარზე იყოს არა ნაკლებ 100-110 ათასი ძირისა.

დამბალი თესლის ჩათესვა ჩატარდეს პირველი გათხნის დროს, ხოლო მცენარეთა ჩარგვა—პლანტაციების გამოხშირვისას;

ე) შაქრის ჭარხლის ყველა პლანტაციაში მოაწყონ და არა უგვიანეს ა. წ. 15 ივნისისა დაამთავრონ ნათესების გაწმენდა სარეველა ბალახებისაგან და შემდეგში პლანტაციები იქონიონ სარეველა ბალახებისაგან გაწმენდილ მდგომარეობაში;

ვ) ზაფხულის განმავლობაში, გამოხშირვის დამთავრების შემდეგ, ჩაატარონ სულ ცოტა სამი დამატებითი გათხნა და, ამინდის პირობების მიხედვით, 5-6 ვეგეტაციური მორწყვა;

ზ) უზრუნველჰყონ ჩატარება ნათესების დამატებითი კვებისა ნაკელის წვენით, ფრინველის ნაკელით და სხვა ადგილობრივი სასუქებით აგროწესებით დადგენილ ვადებში, დამატებითი კვება ჩაატარონ პირველ რიგში იმ ნაკვეთებზე, რომლებზეც მცენარეები სუსტად არის განვითარებული;

თ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ყველა დამუშავებითი სამუშაოს დროულად და ხარისხოვნად ჩატარებას შაქრის ჭარხლის 1942 წლის სადედეებში და 1943 წელს გამორეულ სათესლეებში, რათა უზრუნველჰყონ თესლის მაღალი მოსავლის მიღება 1943 წელს;

ი) შემოდგომის ხვატარით დაავადებულ ყველა ნაკვეთში მოაწყონ კოლმეურნეთა (კოლმეურნე ქალთა, მოსწავლეთა, მოზარდთა და სხვათა) მასობრივი გამოსვლა შემოდგომის ხვატარის მატლების ხელით შესაგროვებლად და მოსასპობად;

კ) შაქრის ჭარხლის ნათესებში სოფლის მეურნეობის მავნებლების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით მოაწყონ პლანტაციებისათვის თვალყურის გულდასმით დევნება, რისთვისაც ყველა კოლმეურნეობაში ჯამოცდილ კოლმეურნეთაგან გამოჰყონ სიგნალიზატორები, ყველგან დადგან ბადაგიანი ვობები, მოაწყონ საჭირო თხრილები და, ჰავნებლების აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გააჩაღონ ბრძოლა მათ მოსასპობად (შესხურება, ხელით შეგროვება და სხვ.).

თამბაქოს დარგში

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს და თამბაქოს რაიონების რაიმიწგანებს:

ა) ერთი დეკადის ვადაში შეამოწმონ პლანტაციების მდგომარეობა თითოეულ კოლმეურნეობაში ცალკე და ჩაატარონ მათი რემონტი მეჩხერ ადგილებში ჯანსაღი ჩითილების ჩარგვით, უზრუნველჰყონ ყველა ნაკვეთზე მცენარეთა ნორმალური დგომა აგროწესებით გათვალისწინებული ოდენობით;

ბ) 15 ივნისამდე დაამთავრონ პირველი გამარგვლა; ამის პარალელურად შეუდგნენ მეორე გამარგვლას იმ ვარაუდით, რომ დამთავრონ იგი არა უგვიანეს 10-15 ივლისისა; თამბაქოს პლანტაციების მესამე და მეოთხე გამარგვლა ჩაატარონ ყველგან 1 აგვისტომდე. თამბაქოს პლანტაციების შემდგომი გათხნნა ჩაატარონ თამბაქოს პლანტაციების მდგომარეობის მიხედვით და არ დაუშვან მათი დასარეველიანება;

გ) სარწყავ რაიონებში, ამინდის პირობებისა და ნიადაგის ტენიანობის მიხედვით, უზრუნველჰყონ ხუთამდე მორწყვა კვლებში; ამასთან უკანასკნელი მორწყვა დამთავრონ მოთხიდ. შეტეხის წინ;

დ) უზრუნველჰყონ ჩატარება თამბაქოს თავის სულ ცოტა სამჯერ წაწყვეტისა და ნამზარის ორჯერ აცლისა;

ე) დაიწესონ მავნებელთა და დაავადებათა გაჩენისათვის მუდმივი თვალყურის დევნება და მათ აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიიღონ საჭირო ზომები მათი სრული ლიკვიდაციისათვის.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს:

I. სიმინდის, მზესუმზირისა და აბუსალათინის დარგში

ა) პირველი აღმონაცენის (2-3 ფოთლის) გამოჩენისას უზრუნველჰყონ აღმონაცენის ფარცხვა მწკრივების გარდიგარდმო;

ბ) ჩაატარონ სიმინდის, მზესუმზირისა და აბუსალათინის ყველა ნათესის სულ ცოტა ორი კულტივაცია და გათხნა, ხოლო იმ ნაკვეთებში, სადაც 1943 წლის შემოდგომაზე საშემოდგომო თესვიანი კულტურები უნდა დაითესოს, ჩაატარონ აგრეთვე მესამე კულტივაცია გათხნით;

გ) სარწყავ რაიონებში, ამინდის პირობებისა და ნიადაგის ტენიანობის მდგომარეობის მიხედვით, ჩაატარონ ორი-სამი მორწყვა, ამასთან სიმინდის ერთი მორწყვა აუცილებლად ჩატარებულ უნდა იქნას 10 დღით ადრე ქოჩრის გამოჩენამდე.

საშემოდგომო თავთავიანი კულტურების გამოსათესად გათვალისწინებულ ნაკვეთებზე უკანასკნელი მორწყვა ჩაატარონ არა უგვიანეს 15 აგვისტოსი.

II. კარტოფილის დარგში

ა) დაუყოვნებლივ შეუდგნენ კარტოფილის ნათესების დამუშავებას და, კერძოდ, პირველი აღმონაცენის გამოჩენისას უზრუნველჰყონ ნათესების დაფარცხვის ჩატარება;

ბ) ზაფხულის განმავლობაში ჩაატარონ სულ ცოტა ორი გათხნა, მიწის ერთნაირ ორჯერ შემოყრა; ამასთან კარტოფილის ნათესების პირველი გაფხვიერება (გათხნა) ჩაატარონ აღმონაცენის მასობრივი გამოჩენის შემდეგ, მეორე—პირველი გაფხვიერებიდან 10-15 დღის შემდეგ; მიწის პირველი შემოყრა ჩაატარონ მეორე გაფხვიერებიდან 10-15 დღის შემდეგ და მიწის მეორედ შემოყრა—საჭიროების მიხედვით, მაგრამ არა უგვიანეს ყვავილობის დაწყებისა;

გ) დაიწესონ კარტოფილის ნათესებისათვის მუდმივი თვალყურის დევნება და არ დაუშვან კარტოფილის ნათესების ჩამხშობი სარეველა ბალახების გაჩენა;

დ) ნათესების მდგომარეობის მიხედვით, უზრუნველჰყონ მორწყვათა ჩატარება იმ ვარაუდით, რომ არ დაუშვან მცენარეთა ჭკნობა. როგორც წესი, ყოველი მორწყვის შემდეგ ჩაატარონ ნიადაგის გაფხვიერება;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დამუშავების სამუშაოთა დროულად ჩატარებას სათესლე ნაკვეთებში და დამუშავებასთან ერთად უზრუნველჰყონ კარტოფილის ნათესების ჯიშური გაწმენდის დროულად ჩატარება;

დაიწესონ მავნებლებისა და დაავადებათა გამოჩენისათვის თვალყურის დევნება და მათი აღმოჩენისას მიიღონ საჭირო ზომები ნათესების შესხურებისა და მავნებლთა და დაავადებათა სრული მოსპობისათვის.

III. ბოსტნეულის დარგში

ა) შეამოწმონ ბოსტნეული კულტურების ნათესთა მდგომარეობა და მეჩხერი ნაკვეთები შეავსონ ჯანსაღი ჩითილის ჩარგვით ან დამბალი თესლის ჩათესვით;

ბ) უზრუნველჰყონ ბოსტნეული კულტურების სათესლეთა განსაკუთრებით გულდასმითი და დროული დამუშავება; წინასწარ დაამზადონ სარები საჭირო რაოდენობით და, ქარისაგან მცენარეთა მოტეხისა და თესლის დაცვივნის თავიდან აცილების მიზნით, ყვავილობის პერიოდში ჩაატარონ სათესლე ხახვის, სტაფილოს და სუფრის ჭარხლის აკვნა ყვავილობის პერიოდში;

გ) მთელი ვეგეტაციური პერიოდის განმავლობაში ჩაატარონ სულ ცოტა 3-4 გათოხნა და კულტივაცია, ნაკვეთები იქონიონ ფხვიერ და სარეველა ბალახებისაგან გაწმენდილ მდგომარეობაში;

დ) უზრუნველჰყონ ბოსტნეულის ნათესთა მორწყვის დროულად და გულდასმით ჩატარება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ დაშვებულ არ იქნას ნათესების წალეკა და წყლის დატბორება ნაკვეთებზე;

ე) დაიწესონ მავნებლებისა და დაავადებათა გაჩენისათვის მუდმივი თვალყურის დევნება და უზრუნველჰყონ მათი მოსპობისათვის საჭირო ზომების დროულად მიღება.

IV. საკვები კულტურების დარგში

უზრუნველჰყონ საკვები კულტურების ნათესებში სარეველა ბალახებთან სისტემატიური ბრძოლის ჩატარება; ამ მიზნით სათესლეებში ჩაატარონ სულ ცოტა 2-3 გამარგვლა და ფართომწკრივიან ნათესებში—2-3 კულტივაცია.

გერანის დარგში

4. დაევალოს ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის, და ბორჩალოს რაიაღმასკომებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტს:

ა) ხუთი დღის ვადაში შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობაში გერანის ნარგავების მდგომარეობა და თითოეულ კოლმეურნეობაში დასახონ საჭირო ზომები მაღალი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად;

ბ) ერთი დეკადის ვადაში დაამთავრონ ყველა მეჩხერი პლანტაციის რემონტი ჯანსაღი ჩითილების ჩარგვის საშუალებით;

გ) დაუყოვნებლივ შეუდგნენ გერანის პლანტაციების ღრმა და ხარისხოვან თოხნას იმ ვარაუდით, რომ ყველა პლანტაცია გათოხნოს ორჯერ მაინც, და შემდეგში არ დაუშვან პლანტაციების დასარეველიანება;

დ) აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში უზრუნველჰყონ სისტემატური რწყვა და არ დაუშვან ნიადაგის გახმობა. ყოველი მორწყვის შემდეგ, როგორც წესი, გააფხვიერონ ნიადაგი.

5. დაევალოს რაიაღმასკომებს, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, რაიმიწგანებსა და მტს-ების დირექტორებს:

ა) სათოხნ კულტურათა ნათესების დამუშავებასთან ერთად, მინდვრების შემდგომი დასარეველიანებისა და სოფლის მეურნეობის მავნებლების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველჰყონ ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობებში და დამხმარე მეურნეობებში მიჯნებზე და ზეკებში სარეველა ბალახების გათიბვა მანამდე, ვიდრე ისინი თესლს გამოიღებდნენ;

ბ) შეამოწმონ ტრაქტორის კულტივატორებისა და ცხენის კულტივატორების მდგომარეობა, მოიყვანონ ისინი სრულ წესრიგში და, ხელით თოხნის ყოველმხრივ გაჩაღებასთან ერთად, გამოიყენონ არსებული ტრაქტორის კულტივატორები და ცხენის კულტივატორები, რათა უზრუნველჰყონ სათოხნ კულტურათა დამუშავების სამუშაოთა დროულად ჩატარება;

გ) დაიწესონ თითოეული კულტივატორისათვის ცალკე (ტრაქტორის კულტივატორისა და ცხენის კულტივატორისათვის) სათოხნ კულტურათა დამუშავების ყოველდღიური დავალებანი და უზრუნველჰყონ მათი გამოყენება სრული დატვირთვით;

დ) ხუთი დღის ვადაში შეამოწმონ თითოეულ კოლმეურნეობასა, საბჭოთა მეურნეობასა და დამხმარე მეურნეობაში, თუ რამდენად უზრუნველყოფილი არიან ისინი შხამმასალებითა და ქიმიკატებით და მიიღონ ზომები მათ შემოსატანად იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლისათვის.

ამავე დროს შეამოწმონ არსებული აპარატურის მზადყოფნის მდგომარეობა და თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის დაიწესონ რემონტისა და მთელი აპარატურის გამოყენების გეგმა;

ე) სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის დროულად ჩატარების, აგრეთვე არსებული აპარატურის სრულად გამოყენების მიზნით, ნება დაერთოს რაიაღმასკომებსა და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, ურთიერთდახმარების წესით, შემოიღონ პრაქტიკაში აპარატურის გადატანა ერთი მეურნეობიდან ნეიერეში.

6. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს, რაიაღმასკომებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, თბილისელ კომუნისტებს, ყველა მეურნეობისა და დამხმარე მეურნეობის შეადგინონ ნათესების ნოვლის სამუშაოთა კალენდარული გეგმა ცალკეულ კულტურათა მოთხოვნილებისა და ნაკვეთების მდგომარეობის გათვალისწინებით;

ბ) ნათესების დამუშავებაში ყველა კოლმეურნეობაში გამოიყენონ ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნეები, კოლმეურნე ქალები, მოზარდები, ხოლო საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე მეურნეობებში—ყველა მუშა და მოსამსახურე მათი ოჯახის წევრებიანად, რომლებიც საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ცხოვრობენ;

გ) დასახლებული პუნქტებისაგან დაშორებულ ნაკვეთებზე მომუშავე ყველა საკოლმეურნეო ბრიგადაში მოაწყონ ღამის გასათევები მინდვრის ბანაკებში და საზოგადოებრივი კვება;

დ) კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კოლმეურნეთა და მუშათა ბავშვებისათვის მოაწყონ საბავშვო ბაღები, საბავშვო ბაღები და მოედნები და უზრუნველჰყონ ბავშვები სათანადო მოვლითა და კვებით,

7. დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) სისტემატურად ჩაატარონ ხარისხის შემმოწმებელ საკოლმეურნეო ინსპექტორთა შეშვებობი რგოლებსა და ბრიგადებში კოლმეურნეების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შემოწმება;

ბ) ზუსტად დაიცვან კოლმეურნეების მიერ ნათესების მოვლაში შესრულებულ სამუშაოთა მიღების წესი; კერძოდ, სამუშაოთა მიღება აწარმოონ აუცილებლად ხარისხის შეფასებით;

გ) კოლმეურნეების მიერ სამუშაოთა არაკეთილხარისხოვნად შესრულებისას. დაიწუნონ და ხელმეორედ შეასრულებინონ იგი, ამისათვის შრომადღეების დაურიცხავად.

8. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს გამოარკვიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მარგვლის სამუშაოთა ჩასატარებლად დამატებითი მუშახელის საჭიროება და, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველჰყონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წინაშე საკითხის დროულად დასმა ნათესების გამარგვლა-დამუშავების სამუშაოთა ჩატარებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის ჩატარების შესახებ.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს დაიწესოს სასტიკი კონტროლი სარწყავი წყლის სწორ და რაციონალურ გამოყენებაზე, ამასთან უზრუნველჰყოს წყლის პირველ რიგში მიწოდება კოლმეურნეობათა სახოგადოებრივ მიწებზე ტექნიკურ და ბოსტნეულ კულტურათა ნათესების მოსარწყავად.

წყლის სარგებლობის წესების დარღვევაში და წყლის დატაცებაში დამნაშავენი მიცემულ იქნან სასტიკ პასუხისგებაში.

10. დაევალოს რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წყლის ეფექტიან გამოყენებას, არ დაუშვან სათოხნ კულტურათა ნათესების მოსარწყავად დატოვება.

ღამით მორწყვის განსაკუთრებით დიდი ეფექტიანობის გათვალისწინებით, ყველა რაიონში მოეწყოს სათოხნ კულტურათა ნათესების სადღეღამისო მორწყვა.

11. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს ხუთი დღის ვადაში მიამაგრონ რაიმიწგანებისა და მტს-ების აგრონომებს კოლმეურნეობათა გარკვეული რაოდენობით სათოხნ კულტურათა მოვლის სამუშაოების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობისათვის, ამასთან დააკისრონ აგრონომებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან ერთად, პასუხისმგებლობა გამარგვლა-დამუშავების სამუშაოთა დროული და ხარისხობრივი ჩატარებისათვის.

12. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს დაიწესოს მუდმივი მეთვალყურეობა რაიონებში ნათესების დამუშავების სამუშაოთა მსვლელობაზე და სისტემატურად მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

13. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს 1943 წლის 1 ივლისისათვის წარუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 ივნისის დილის ცნობა

31 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

***

დასავლეთის ფრონტზე ნ ნაწილის არტილერისტებმა მოწინააღმდეგის პოზიციებს დაუშინეს და მტრის 4 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 2 ბლინდაჟი დაანგრიეს. სხვა უბანზე ჩვენი მზვერავი რაზმი ღამე მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიპარა და რამდენიმე ათეული ჰიტლერელი გაელიტა. მზვერავებმა ხელთ იგდეს ტყვეები და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

***

ლისიჩანსკის რაიონში გერმანელებმა საცადეს დაებრუნებინათ წინათ დაკარგული პოზიციები და ორი იერიში მოიტანეს ზედიზედ. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოწინააღმდეგის იერიშები მოიგერიეს, ამასთან დიდი ზარალი მიაყენეს მას. ჰიტლ

რაიონული პარტკონფერენციები

თბილისის რაიონი

ამ დღეებში ჩატარდა თბილისის რაიონის VII პარტიული კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1. რაიონული კომიტეტის ანგარიში, 2. რაიკომის სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3. რაიკომისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ლეკიშვილი, მეორე საკითხზე—ამხ. მ. ბეგიანოვი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ა. ჩარკვიანმა, გ. მათიაშვილმა, გ. ამირანაშვილმა, თ. ვარდანიანცმა, ე. მუკაშიანმა, ფ. გოგუამ, გ. შიოშვილმა, ვ. ლიპარტელიანმა, კ. ბაიდაურმა, ა. კორახაშვილმა.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის პლენუმის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 37 წევრი და 7 კანდიდატი.

შესდგა რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. ბაქრაძე, მეორე მდივნად—კ. თავიდაშვილი, ხოლო მდივნად კადრების დარგში—ამხ. კ. ბაიდაური.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბარამია.

გ. ცანავა

გურჯაანის რაიონი

გურჯაანი („კომუნისტის“ საკ. კორ.). 29-30 მაისს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიონული XI კონფერენცია, რომელმაც განიხილა საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის ანგარიში და სარევიზიო კომისიის მოხსენება. პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. ი. ფეიქრიშვილი, მეორე საკითხზე—სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ვ. გაბილაია.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: შ. ფხალაძემ, კ. მაისურაძემ, ა. მეტრეველმა, პ. ზარდიაშვილმა, ე. გაჩეჩილაძემ, გ. აბაზაშვილმა, ა. დავითაშვილმა, თ. გელდიაშვილმა და სხვებმა, სულ 22 ამხანაგმა. კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და მუშაობა დამაკმაყოფილებლად. რაიკომის შემადგენლობაში კონფერენციამ აირჩია 39 წევრი და 9 კანდიდატი.

შესდგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა საორგანიზაციო საკითხები. პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ი. ფეიქრიშვილი, მეორე მდივნად ამხ. ა. დავითაშვილი და მდივნად კადრების დარგში ამხ. გ. აბაზაშვილი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა და სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბუჯაიშვილი.

შ. მაჭავარიანი

წითელწყაროს რაიონი

ჩატარდა წითელწყაროს მესამე რაიონული პარტიული კონფერენცია, რომელმაც განიხილა სამი საკითხი: 1. რაიონული კომიტეტის ანგარიში, 2. რაიკომის სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3. რაიკომისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. შ. გელაშვილმა. სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვ. ჩინჩალაძე.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 13 ამხანაგმა. კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად. არჩეულ იქნა რაიკომის პლენუმი 33 წევრისა და 9 კანდიდატის შემადგენლობით, სარევიზიო კომისია—5 ამხანაგის შემადგენლობით.

რაიკომის პლენუმმა ბიუროს შემადგენლობაში აირჩია 5 წევრი და 2 კანდიდატი. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. შ. გელაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ნ. მჭედლიშვილი, მდივნად კადრების დარგში—ამხ. ალ. ბაკაშვილი. პლენუმმა დამტკიცა აგრეთვე რაიონული გაზეთის რედაქტორი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ამხ. ი. კოჭლამაზაშვილი.

ირ. მოლოდინი

უზრუნველვყოთ უხვი სამხედრო მოსავლის მიღება

ახალი შრომითი აღმავლობა

თეთრი წყარო („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ჩატარდა ქართველ მებრძოლთა წერილისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები. სახელოვან მებრძოლთა მოწოდებამ შრომის ახალი აღმავლობა გამოიწვია. მებრძოლთა წერილით აღფრთოვანებულმა კოლმეურნეებმა ახალი კონკრეტული ვალდებულებები აიღეს.

— მე სამამულო ომის მონაწილე ვარ, — განაცხადა ქსოვრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ალ. გიგოლაურმა, საგაზაფხულო თესვის გეგმა ჩვენ 11,5 ჰექტარის გადაჭარბებით შეგასრულეთ. ვალდებულებას ვკისრულობ უზრუნველვყო უხვი მოსავლის მიღება და ფრონტისადმი დახმარების შემდგომი გძლიერება.

— სამი ფრონტელის მამა ვარ,—აცხადებს მოხუცი კოლმეურნე სოლომონ კობაიძე.— მოხარული ვარ, რომ ჩემი შვილები დიდი განმთავისუფლებელი ომის მონაწილენი არიან. მეც პირობას ვიძლევი აქ, ზურგში, ვაუკაცურად ვიმუშაო და ხელი შეეუწყო მტერზე გამარჯვების საქმეს.

სოფ. წყნარი აბანოს კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის ბრიგადირმა ლ. გიკაევმა განაცხადა, რომ მისი ბრიგადის წევრები არასოდეს ისე ენერგიულად არ მუშაობდნენ, როგორც ახლა.

მებრძოლთა წერილის პასუხად აბრამეთის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ 160 პროცენტით შეასრულა საგაზაფხულო თესვის გეგმა, სოფ. ჭალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ—111 პროცენტით. ირგის სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. სავიდი) 628 ჰექტარის ნაცვლად 716,5 ჰექტარი დასთესეს, ხოლო მთიულეთის სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბექაური) გეგმით გათვალისწინებული 657 ჰექტარის ნაცვლად 702,5 ჰექტარი დასთესეს.

აკ. ჩავლეიშვილი

გავაძლიეროთ შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავება

კასპის რაიონის კოლმეურნეობებში წელს შაქრის ჭარხალი დათესილია 1.180 ჰექტარზე. გარდა ამისა, 90 ჰექტარზე დარგულია სათესლე ჭარხალი, რაც მომავალ წელს რაიონის კოლმეურნეობებს უზრუნველჰყოფს თესლით.

შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლისათვის წარმატებით იბრძვის სოფ. ქვემო ხანდაკის კოლმეურნეობა. აქ უკვე დაამთავრეს შაქრის ჭარხლის რიგთა შორის გაფხვიერება, ხოლო 7 ჰექტარზე ჩაატარეს გამოხშირვა. ასეთივე კარგი მაჩვენებლები აქვთ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის საქმეში სოფ. ქვემო გომის და ნიაბის კოლმეურნეობებს. მათაც დაამთავრეს შაქრის ჭარხლის პირველი გათხნა. ჭარხლის თიხნა დაკვრითი ტემპით შიმდინარეობს კასპის, ახალციხის, გრაკალის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

მაგრამ ყველგან ასე როდია. შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის საქმეში ჩამორჩენიან სოფ. ნიქოზის, ზემო და ქვემო რენეს, ჩობალაურის და მეტეხის № 1 კოლმეურნეობები, სადაც ჭარხალი საუკეთესოდ არის აღმოცენებული, მაგრამ გათხნას და გაფხვიერებას აგვიანებენ.

აღნიშნულმა კოლმეურნეობებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ არსებული ჩამორჩენის გამოსწორებას, მიიღონ ყველა ზომები მაღალი სამხედრო მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად.

ი. გუზალაძე

თამბაქოს რგვის გეგმის შესრულება

ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა 29 მაისისათვის თამბაქოს რგვის წლიური გეგმა 101 პროცენტით შეასრულეს. თამბაქოს რგვის საქმეში წინ არიან აჭარის აღმართის, დიმიტროვის სახელობის (თავმჯდომარე ხუსეინ მალაკმაძე), ბაქრაძის სახელობის (თავმჯდომარე ხასან აბაშიძე), ცხაკაიას სახელობის (თავმჯდომარე ხუციეს ნაგერავაძე), კოლმეურნეობები, კოლმეურნეობა „ლენინიზმი“ (თავმჯდომარე ფეზლი ნაგერავაძე) და სოფ. კირნათის კოლმეურნეობა „ავანგარდი“ (თავმჯდომარე ახმედ წითელაძე).

თამბაქოს რგვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი
სანიკიძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
ყურშუბაძე

ხობის რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის მაისის გეგმა

ხობის რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს — ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 182.000 კილოგრამისა მოკრეფილია 185.600 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. მოკრეფილი ფოთლის 70 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

საქ. კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის მდივანი
ა. ჯიქია

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
ჩაჩია

მოკვდედი არმია. ქართველმა—სტრელკინტმა პ. ი. მესხიშვილმა საბრძოლო სამსახური მემინზნედ და ქვემეხის ოსტატად დაიწყო. ამჟამად იგი ქვემეხის მეთაურია და დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ და წითელი ვარსკვლავის ორდენით. ომამდე იგი მუშაობდა თბილისში ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის ზეინკლად. მის საბრძოლო ანგარიშზეა: 17 დანგრეული ბლინდაჟი, 16 მოსპობილი სატყვიამფრქვეული წერტი, მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი და ბევრი სხვა ტექნიკა.

ფოტო ხ. ზინგერმანისა
(საკადესის ფოტოქრონიკა).

მსხვილი მოგება
(ქუთაისის რაიონი)

ქუთაისის ცენტრალურმა შემნახველმა სალარომ (გამგე ამხ. ვ. თოდუა) ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებში ჩაატარა მოგებათა მასობრივი შემოწმება და მოგებული თანხების ადგილზე გაცემა.

კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს ადგილზე მიეცათ სახელმწიფო სესხის ობლიგაციებით მოგებული თანხა 46.000 მანეთის რაოდენობით, ხოლო ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებით მოგებული—50.000 მანეთი.

განსაკუთრებით მსხვილი მოგება ხვდათ ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთების მქონეთ. მაგალითად, სოფ. ქვ. სიმონეთის კოლმეურნეობის „ლენინის გზით“ წევრმა ილია სარალიძემ ლატარიის 20-მანეთიანი ბილეთით მოიგო 25.000 მანეთი, ამავე სოფლის მცხოვრებმა მიხეილ სულამანიძემ —200 მანეთი ფულად და აბრეშუმის საკბი.

სოფ. რიონის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ მოანგარიშემ ი. ბოდოკიამ ლატარიის ბილეთით კარაკულის პალტო მოიგო. კარაკულის პალტო ხვდა აგრეთვე კოლმეურნეობა „წითელი ზარაფის“ წევრს პავლე ალხაზაშვილს.

შ. ჯავახაძე

ნიკო გოცირიძის საღამო

ორშაბათს, 31 მაისს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შესდგა საღამო, მიძღვნილი ნიკო გოცირიძის სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი. საღამო გაიხსნა ი. გრიშაშვილის შესავალი სიტყვით, რის შემდეგ ნ. გოცირიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა „მზის დაბნელების“ პირველი და „ხანუმას“ მეორე და მესამე მოქმედებები.

„ხანუმას“ მესამე მოქმედებაში ქორწილის სუფრასთან სტუმრებთან ერთად სცენაზე გამოვიდნენ მარჯანიშვილის თეატრის შესანიშნავები, პირველი სიტყვა შ. ღამბაშიძემ მიმართა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის წარმომადგენელს ამხ. მაჩაიძეს. სიტყვებით გამოვიდნენ ა. ვასაძე, ე. ფალავა და ვ. ანჯაფარიძე. ნიკო გოცირიძეს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს და მრავალი თაიგულით დაასაჩუქრეს. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო.

ოქტიები ჯ მოხსენებები

8 ივნისს, სალამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) ქართულ და რუსულ ენებზე შესდგება საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ (ოქტომბრის შემდგომი პერიოდი) პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა.

პროპაგანდისტთა დასწრება მეცადინეობაზე სავალდებულოა.

თეატრებში

სახოპერა—2 ივნისს—„აიდა“. 3 ივნისს — „ფაუსტი“. **რუსთაველის სახელობის**—2 ივნისს „სამშობლო“, 3 ივნისს—„სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი“. **მარჯანიშვილის სახელობის**—2 ივნისს—„მარგარიტა გოტიე“, 3 ივნისს —„ეჭვით ავადმყოფი“. **მუსიკალური კომედიის**—2 ივნისს—„არშინ-მალ-ალან“, 3 ივნისს — „ოქროს გასაღები“. **სანკულტურის**—3 ივნისს— „ხალხის რჩეული“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—2 და 3 ივნისს—„ბირველის მორჯულება“.

კინოებში

რუსთაველის სახ.—„ლედი ჰამილტონი“, **ოქტომბერი**—„ანტონა რიბკინი“, **დამკვირველი** — „ასი კაცი და ერთი ქალაშვილი“, **კომკავშირელი**—„ზეცა“, **სპარტაკი**—„მელორე“, „ცა“ და „ჯოჯოხეთი“, **ლუქსემბურგის სახ.**—„კოტოვსკი“, **კომინტერნი**—„ჯარისკაცი ფრონტიდან მოდიოდა“, **26 კომ. სახ.**—„გამარჯვება უდაბნოში“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სსრკ ნავთმრეწველსახკომის თბილისის ნავთობის ტექნიკუმი აცხადებს 1943-44 სასწავლო წლისათვის მსმენელთა მიღებას ქართულ და რუსულ სექტორებზე

ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოსებს: 1. **ნავთობის ჭაბურღლების ბურღვის,** 2. **ნავთობის და გაზის ჭაბურღლების ექსპლოატაციის,** 3. **ნავთობის და ხელოვნური თხევადი საბობის ტექნოლოგიის** და 4. **საბუსბალტრო აღრაცხვის დარგში.**

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირები 15-დან 30 წლის ასაკამდე: I კურსზე—რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა, მე-2 კურსზე (უგამოცდოდ),—რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის 9 ან 10 კლასი და მე-3 კურსზე — ტექნიკუმის მოსწავლენი, რომლებმაც გაწყვეტეს მასთან კავშირი.

განცხადებების მიღება სწარმოებს 20 აგვისტომდე. განცხადებას თან დართული უნდა ჰქონდეს: ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა, დაბადების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედროვალდებულთათვის) და სამი შემოწმებული ფოტოსურათი. პასპორტი წარდგენილ უნდა იქნას პირადად გამოცხადების დროს. ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, დახურული სასადილოთი და სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით. განცხადებები მიიღება შემდეგი მისამართით: თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. № 9, ნავთობის ტექნიკუმი. ტელეფონი 3—12—82. კანცელარია ღია დილის 8-დან საღამოს 10 საათამდე.

დირექცია.

ცოლი ნადია, შვილები მიტო, თეიმურაზ, დოდო, სიძე ნესტორ იუწყებიან
საშა ალექსანდრეს-ძე ჯაფარიძის
გარდაცვალებას. გამოსვ. 3/VI, 6 ს. გოგებაშვილის, 7. 1267

მშობლები ნინო, იოსებ, ძმები „კოტე, ალი იუწყებიან
შოთა იოსების-ძე ბოჭორიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვ. 3/VI, ბრძოლის, 13. დაკრძ. 4/VI, 5½ ს. 1268

საქ. სსრ სახელმწ. გამომც. მუშაკთა კოლექტივი იუწყება კ. აბუანდაძის მამის
ზაქარია როსაპის-ძე აბუანდაძის
გარდაცვალებას. 1269

მეუღლე ჟენია, შვილები ნიკოლოზ, შოთა, რძალი მარიამ იუწყებიან
რაშდენ თევზაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/VI, 7 ს. ქუთათელაძის, 31. დაკრძ. 3/VI, 6 ს. 1272

ცოლი მარო, შვილები ქეთო, თამარ, გრეშა, ვალიკო, შოთა, სიძე შ. მაზნიაშვილი იუწყებიან
კოტე ბარამის-ძე შაბურიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვ. 2/VI, პეტრიაშვილის, 19. 1270

ბერიას რაიონის ბავშვთა № 26 ბაგის კოლექტივი იუწყება ნ. ოსიაკის დედის
სერმილე ბორისის-ასულ ამაღლობელის
გარდაცვალებას. პანაშვ. 2/VI, 7 ს. ბალავნის, 29. დაკრძ. 3/VI, 5½ ს.

მშობლები ელენე, მიხეილ, ცოლი ასია, შვილი მიხეილ, ძმები გიორგი, სერგო იუწყებიან
იოსებ მიხეილის-ძე აბაჯანოვის
გარდაცვალებას. პანაშვ. 3/VI, 8 ს. ბლუხანოვის, 38. დაკრძ 4/VI, 5½ ს. 1273

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

გეგმას ყველა უბანი და ცვლა უნდა ასრულებდეს

ტყიბული („კომუნისტის“ საკ. კორ.). ქართველ მებრძოლთა წერილის პასუხად აღებულ ვალდებულებებს კარგად ასრულებს ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს პირველი საექსპლოატაციო უბანი ინჟინერ გ. მუმლაძის ხელმძღვანელობით. 27 მაისს მუმლაძის უბანმა 20 ტონის გადამეტებით შეასრულა მაისის გეგმა და ახლა გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად 60-70 ტონა ქვანახშირს იძლევა.

პირველ უბანში და მთელ მაღაროში წინმძღის სამთო ოსტატ ი. ცირეკიძის ცვლა, რომელსაც 28 მაისისათვის გეგმა 129 პროცენტით ჰქონდა შესრულებული.

დასავლეთ შახტის მეფალოსანი მნგრეველი ა. ფურცხვანაძე, ორდენოსანი მბეიგი ი. ილიუშინი, მტვირთავი ვ. ლისენკო, ვ. ბარკოვი, შ. კაბაძე, სიდენკო, კრასნოგოლოვეცი, ბარბაქაძე და სხვ. 200-370 პროცენტით ასრულებენ ნორმებს.

მაგრამ ტყიბულის მაღაროებსა და შახტებში ბევრი უბანი, ცვლა და ბრიგადა ვერ ასრულებს გეგმებს. სტალინის სახელობის მაღაროს პირველ უბანში ცირეკიძის ცვლის შემცვლელი ცვლა ნიკოლოზ მაცევის ხელმძღვანელობით, მიუხედავად ერთნაირი სამუშაო პირობებისა, გეგმას სისტემატურად ვერ ასრულებს. ამ ცვლამ 28 მაისისათვის 27 დღის გეგმა მხოლოდ 88 პროცენტით შეასრულა. ჩამორჩენის მიზეზია უფროსის მოუქნელი მუშაობა, ცვლაში მომუშავეთა არასწორი განაწილება, დაბალი დისციპლინა, სამუშაო იარაღებისადმი უყურადღებობა და სხვ. სტალინის სახელობის მაღაროში გეგმას ვერ ასრულებს აგრეთვე მეორე უბანი (უფროსი ს. გაბრიაძე) და მესამე უბანი (უფროსი პ. ნანიკაშვილი).

ცუდად მუშაობს ლენინის სახელობის მაღაროში მერვე უბანი ნ. ცერცვაძის ხელმძღვანელობით. ამ უბანში მოუწესრიგებელია დისციპლინა, ცდება სამუშაო დრო, გეგმა ვერ სრულდება. სვენტილაციო გაყვანილობა, რომელიც 25 მაისს უნდა დაევთავრებინათ, 28 მაისსაც არ იყო მზადა. ამ უბანში 25 მაისს პ. სოფრომაძის ცვლის ზოგიერთმა მუშამ 20 უუთით ადრე დასტოვა სამუშაო. ცვლის უფროსმა სოფრომაძემ თავი საათის უქონლობით იმართლა.

დ. საბელაშვილი

საელმავლო საამქროს წარმატება

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საელმავლო საამქროს კოლექტივი (უფროსი ამხ. ვ. გოცირიძე) წინასამისო სოციშეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. საამქრომ მაისშიც მოიპოვა წარმატება. ქართველი მებრძოლების წერილის პასუხად ნაკისრი ვალდებულება საამქრომ სახელოვნად გაანადგა, ელმავლებისა და ელექტროვაგონების რემონტის ნახევრი წლის გეგმა ერთი თვით ადრე შეასრულა და, გარდა ამისა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა ერთი მოტორიანი ვაგონი.

საამქროს კოლექტივმა ამ წარმატებებს მიაღწია მუშობის სწორი ორგანიზაციის, გრაფიკით მუშობის განმტკიცების, სოციშეჯიბრების ფართოდ გაშლისა და შინარესურსების მაქსიმალურად გამოყენების შედეგად. ადგილობრივი ნედლეულისა და რესურსების ბაზაზე საამქრომ აითვისა მთელი რიგი საიზოლაციო მასალების წარმოება, როგორიცაა ქამბრიკი, საიზოლაციო ლენტი, ასფალტოვანი ლენტი და სხვ. თუ წინათ საამქრო კანტოგრაფის სრიალების ზედებისათვის პროფილებულ სპილენძს ცენტრალიზებული მოგარაგებით ღებულობდა, ახლა ეს სათადარიგო ნაწილი მზადდება ორთქლმავლის ძველი სპილენძის საცეცხლურისაგან. ამავე მასალისაგან ათვისებულ იქნა კონტაქტორის ტუჩებისა და სხვა სათადარიგო ნაწილების წარმოება.

საამქროში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დამხმარე მასალებისა და ელექტროენერგიის ეკონომიას. წინათ გადამუშავებული ზეთი მიღებული მანქანების დაშლის შედეგად შეაკეთებაში რჩებოდა, გამოუყენებელი იყო. ამჟამად ზეთის გაწმენდა და მისი ხელახლა გამოყენება ხდება ტექნიკიოროს უფროსის ამხ. ჟვანიას მიერ გაკეთებული სპეციალური აპარატის საშუალებით.

ა. მასხარაშვილი

ჟეჰეფეგი

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 1 ივნისი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ინგლისის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს აეროდრომზე კანში და დოკებზე შერბურში (საფრანგეთი). თვითმფრინავთა სხვა ჯგუფმა დაბომბა მთელი რიგი სამხედრო ობიექტები ზეებრიუგესა (ბელგია) და ფლისინგენში (ჰოლანდია).

გერმანიის თვითმფრინავებმა რამდენიმე ბომბი ჩამოაგდეს ლონდონში.

ხმელთაშუა ზღვის ბასეინში ამერიკელთა 100-ზე მეტმა „მფრინავმა სიმაგრემ“ 30 მაისს თავდასხმა მოახდინა ნეაპოლზე. მტრის ავიაციამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში პირველად გასწია ძლიერი წინააღმდეგობა. მიუხედავად ამისა, ყველა ბომბდამშენი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზაში. ნეაპოლის ნავსადგურში ჩაძირული და დაზიანებულია 3 გემი. აეროდრომებზე მოსპობილია მიწაზე მდგომი ბევრი თვითმფრინავი და მთელი რიგი ნაგებობანი.

გუშინ მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა თავდასხმას იტალიის ობიექტებსა და იტალიის კუნძულების ბაზებზე.

ნიუ-იორკი, 1 ივნისი (საკადესი). იუნაიტედ პრესის საგაზეთოს ცნობით, ამერიკის მე-8 საავიაციო ჯგუფმა მაისში მოსპო მტრის 351 თვითმფრინავი, თვითონ კი 81 მანქანა დაჰკარგა.

ამერიკის თვითმფრინავებმა 2.000 გაფრენა მოახდინეს, იერიში მიიტანეს 20 ობიექტზე ევროპაში და 3.000 ტონა ბომბი ჩაჰყარეს.

საბერძნეთში აკრძალულ თურქეთის ელჩის მომავალი გამგზავრება ეგვიპეტში

ანკარა, 31 მაისი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, თურქეთის ელჩი საბერძნეთში აქაურები ახლო მომავალში ეგვიპტეს გაემგზავრება, სადაც, როგორც ცნობილია, ამჟამად იმყოფება საბერძნეთის მეფე. აქაურები, რომელიც თურქეთის ელჩად იყო საბერძნეთში იტალიელ-გერმანელთა ჯარების მიერ მისი ოკუპაციის დროიდან, უკანასკნელ ხანამდე განუწყვეტლივ იმყოფებოდა თურქეთში.

მოკავშირეებთან შეერთებული ფრანგთა ესკადრის შემადგენლობა

ლონდონი, 1 ივნისი (საკადესი). აფის საგენტის ცნობით, ალექსანდრიაში (ეგვიპტე) მყოფი ფრანგთა ესკადრის შემადგენლობაში, რომელიც ადმირალ გოდფროუს მეთაურობით მოქმედებს და რომელიც ამ დღეებში შეუერთდა მოკავშირეებს, შედის ერთი სახაზო ხომალდი 22.000 ტონა წყალწყვისა, 3 კრეისერი 10.000 ტონა წყალწყვისა თითოეული და ერთი 7.000 ტონა წყალწყვისა, 3 ნაღმოსანი და 1 წყალქვეშა ნავი.

ჰიტლერელები შეშინებული არიან ჯოჯანდიელ პატრიოტთა წინააღმდეგობით

სტოკჰოლმი, 1 ივნისი (საკადესი). გერმანულმა ფაშისტურმა გაზეთმა „დოიჩე ცაიტუნგ ინ ნიდერლანდენმა“ გამოაქვეყნა ჰიტლერის მოადგილის ჰოლანდიაში ზეის ინკვარტის სიტყვა, რომელშიც იგი აცხადებს, რომ „მაისის პირველი რიცხვებიდან ჰოლანდიაში სერიოზული მოვლენები ხდება“. ეს მოვლენები გამოწვეულია ჰოლანდიელ მუშათა იძულებითი გაგზავნით გერმანიაში და, განსაკუთრებით, გერმანელთა საოკუპაციო ხელისუფლების ბრძანებით ყოფილ ჰოლანდიელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნის შესახებ.

ახლა.—განაცხადა ზეის ინკვარტმა,—როცა ინგლისსა და შეერთებულ შტატებს სურთ დაარტყან გერმანელთა ჯარებს, რომლებიც აღმოსავლეთში იბრძვიან, ჩვენ არ შეგვიძლია თავისუფლად დავტოვოთ ჰოლანდიელი სამხედრო ტყვეები, რომელთა უმეტესობაც ალიანსიტურად არის განწყობილი გერმანიის მიმართ. საკმარისი შესაძლებელია, — აღნიშნა ზეის ინკვარტმა,—რომ ბევრი ჰოლანდიელი ჯარისკაცი და ოფიცერი მზად არის მონაწილეობა მიიღოს და დახმარება გაუწიოს კონტინენტზე მტრის ჯარების შემოჭრის განხორციელებას.

ჰიტლერელ გერმანიაში იზრდება პესიმიზმი და გამაოგნებლის ურწმენობა
ჰიტლერელ მეთაურ ვაგნერის აღიარება

სტოკჰოლმი, 1 ივნისი (საკადესი). გერმანულმა ფაშისტურმა გაზეთმა „შტრასბურგერ ცაიტუნგმა“ მოთავსა ერთ-ერთი თვალსაჩინო ჰიტლერელი მეთაურის—„ჰაუპლიტერ“ ვაგნერის მიერ მანჰაიმში წარმოთქმული სიტყვა. ამ სიტყვაში, რომელიც გამსჭვალულია შიშისა და შეშფოთების გრძნობით, ვაგნერმა განაცხადა, რომ ბევრი გერმანელი „მოცულია შეშფოთებითა და ეჭვებით, ბევრი განიცდის სულიერ კრიზისს, ზოგიერთში ასეთი სულიერი განცდები სრულ მორალურ განადგურებას იწვევენ“.

„ეს ადამიანები,—ამბობს ვაგნერი,—წარმოადგენენ ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფოს მტრებს, ააშკარავებენ თავიანთ თავს გერმანიის მიერ განცდილი ყოველი დამარცხების შემდეგ. მათ თავი გამოიჩაშკარავეს სტალინგრადთან დამარცხების შემდეგაც“.

ვაგნერმა ვერ დამალა, რომ თვით ჰიტლერული პარტიაშიც ძლიერდება პესიმიზმისა და სასოწარკვეთილების განწყობილებანი და რომ ბევრი ჰიტლერელი „ხელს აფარებს მოღალატურ ინტრიგებს“ იმ პირებისას, რომლებიც დამარცხების სასარგებლოდ არიან განწყობილნი.

ვაგნერი მოუწოდებს ფაშისტური პარტიის ასეთ „სუსტ და დაღლილ“ წევრებთან ულმობელი ბრძოლისაკენ და უწოდებს მათ „მტრის უბადრუკ ხელშემწყობებს“.

შეეხო რა ბრძოლის პერსპექტივებს, ვაგნერი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „აღმოსავლეთში გერმანიას საქმე აქვს ისეთ მოწინააღმდეგესთან, როგორიც მას წინანდელ კამპანიებში არ უნახავს. ომი აღმოსავლეთში მძიმე და სასტიკია. იქ ჩვენ ბრძოლას ვეწეოთ უშუალოდ ძლიერ მტერთან, რომელსაც ბევრი ჩვენგანი თავდაპირველად სათანადოდ ვერ აფასებდა“. ვაგნერმა ვერ დამალა, რომ ბევრმა გერმანელმა დაჰკარგა გამარჯვების იმედი. „მე ვიცი,—სთქვა ნან,—რომ თქვენ და მთელ ხალხს აღელვებს მხოლოდ ერთი კითხვა, თუ რას მოგვიტანს ზომავალი? ამაზე მე შემიძლია მხოლოდ ის ვთქვა, რომ ეს მე თვითონაც არ ვიცი“.

იაპონია-ჩინეთის ომი

ჩინეთის სარდლობის ცნობებით, ჩინეთის ჯარებმა კონტრშეტევა დაიწყეს მთელ ფრონტზე მდინარე იანძის გასწვრივ, იჩანის სამხრეთით (ხუბეის პროვინციის სამხრეთი ნაწილი). ბრძოლები წარმოებს ჩანიანის სექტორში (იჩანის სამხრეთით). იჩანის მახლობლად ფაქტიურად გარშემორტყმულია იაპონელთა 5 დივიზია. ამ სექტორში საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია იაპონელთა 21 თვითმფრინავი. ჩინეთის ჯარები ხენანისა და ხუნანის ფრონტებზე აწვებიან იაპონელთა ჯარებს ინ მიზნით, რომ დახმარება გაუწიონ ჩინელების მოქმედებას იანძის რაიონში.

1 ივნისი (საკადესი)

უცხოეთის ქრონიკა

ინგლისში ჩავიდნენ კანადის ზღვისიქითა არმიის ახალი მაშველი ძალები.

* * *

ვარშავაში მოხდა ახალი მასობრივი დაატომრება. საპყრობილეში ჩაყრილია ათასობით პოლონელი.

* * *

ივნისის დამდეგს ლონდონის თეატრ „პლეიჰაუზში“ შესდგება კ. სიმონოვის პიესა „რუსი ადამიანების“ პრემიერა. ამავე დროს პიესას ამზადებენ ლონდონის ერთ-ერთ პოპულარულ თეატრში დასადგმელად.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.